№ 36

ოთხშაბათი, 16 თებერვალი 1894

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 36

ოთხშაბათი, 16 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**ბაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**მათე ივანეს ძე, მინადორა დავითის ასული და ნატალია ალას ასული ნიკოლაძისანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთა და ნაცნობთა, გარდაცვალებასა პირველნი უსაყვარლესის ასულისას და უკანასკნელი შვილი-შვილისას **ბარბარესას** ქალაქს ბათუმში 13 თებერვალს საღამოს $9^3/_4$ საათზ-დ. (1—1)

**კონსტანტინე სოლომონის ძე ბახუტაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავის საყვარელის ძმის **გიორგისას**, სთხოვს მობრძანდნენ მის დასაფლავებაზედ. მიცვალებულს გამოასვენებენ ტფილისის საავადმყოფოს ქსენონიდგან წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთს, ხუთშაბათს, 17 თებერვალს, დილის 9 საათზედ; მიცვალებული დასაფლავებულ იქმნება კუკიის სასაფლაოზედ. (1—1)

**ნინო როსტომის ასული მუსხელაშვილისა შვილებით** სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 19 ამა თებერვალს, ათს საათზედ ქ. ახალციხეში წმ. მარინეს ეკკლესიაში დასასწრებლად ორმოცის წირვა-პანაშვიდზედ გარდაცვალებულის პირველის მეუღლისა და უკანასკნელთა—მამისა—**ნიკოლოზ ივანეს ძის მუსხელაშვილისა.** (2—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 16 თებერვალს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ქ-ნთ საფარო-აბაშიძის, აკაკი-შვილის და ბ-ნთ მესხიევის, ყიფიანის და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**მეორედ გაყმაწვილება**

დრ. 4 მოქ., გად. დ. ერისთავის მიერ

II

**მონადირე**

ვოდ. 1 მოქ. გუნიასი

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა: „**დენიზა**“ დრ. 4 მოქ. დიუმასი.

## ტფილისი, 16 თებერვალს

ახლად დანიშნულმა სამართლის მინისტრმა მურავიევმა წარმოსთქვა ამას წინად ფრიად საყურადღებო და სანუგეშო სიტყვები: „საერო განათლებისათვის ფულს ჩვენ ყოველთვის ვიშოვნითო“.

მართალია, ბატონს მინისტრს უთუოდ, კარგად ეცოდინება აწინდელ რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვის მდგომარეობა, ეცოდინება რის შემძლებელია რუსეთის ხაზინა. მაგრამ იმისი გადაჭრით თქმა, რომ საკმაო საშვალების მოპოვება მოსახერხებელი იყოს, იმდენის საშვალებისა, რამდენიც საჭიროა ასის მილიონის უმეცარის ხალხის გასანათლებლად, ჩვენის აზრით, უნდა გასჭირდეს.

მაგრამ საიმედო სიტყვები მინისტრისა მაინც სასიამოვნოა, და ამტკიცებს, რომ რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს საერო განათლებისათვის ხარჯთ-აღრიცხვას თვალსაჩინოდ მოუმატოს.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენც უნდა მოველოდეთ, რომ შევსებული იქნება ის ნაკლულევანება სახელმწიფო სასწავლებლებისა, რომელთა უქონლობას ასე ჰგრძნობს დღეს ქართველი ერი.

ყოველს საუკუნეს თავის განსხვავებული ფერი და განსხვავებული მოთხოვნილება აქვს. თუმცა სწავლასა და განათლებას არაოდეს არ ჰკლებია მნიშვნელობა ქვეყნის წარმატებისათვის, მაგრამ ისეთი აუცილებელი საჭიროება სწავლისა, როგორიც არის ჩვენს დროში, რასაკვირველია, არაოდეს არა ყოფილა. ზოგს საუკუნეს სჭირია ალექსანდრე მაკედონელი, ზოგს კოლუმბი, ზოგს ლოუ და ზოგსაც ლინკოლნი. ჩვენს საუკუნეს-კი ყოველს სფერაში და ყოველგან სჭირია სწავლით შეიარაღებული და განვითარებული ადამიანი, რომ შეეძლოთ გამკლავება ცხოვრებასთან და გამარჯვებული გამოსვლა.

საკვირველია საზოგადოების და თვით მთელის ერის საქმე, სანამდის იგი თავის მამა-პაპის ქერქშია, სანამდის განათლების ნაყოფი არ უგემებია, სანამდის უმჯობესის მისაღწევად არ აღძრულა მისი გული და გონება, მანამდის თავისთვის არის მოსვენებით, უშფოთველად და სცხოვრობს წინაპართა ნაანდერძევის მაგალითით და ჩვეულებით. მაგრამ, თუ ერთხელ იხილა ქვეყანამ სხვი განათლებისა და მეცნიერებისა—გათავდა, იმისი გზაზედ შეყენება შეუძლებელია და ცხოვრების პატარა ბნელს სარკმელს შემოჭრილი სინათლე უფრო და უფრო იზიდავს ადამიანს. ამ შემთხვევაში—ან უნდა დაემორჩილო მსოფლიო კანონს: უნდა შეიმოსო ცოდნითა და ხელოვნებით, ან უნდა დაჰყარო ფარ-ხმალი და მისცე თავი სიკვდილს... საფრთხილო არის, არა თუ პატარა, არამედ დიდის ერისათვის კაცობრიობის პროგრესსის კანონის გადალახვა და უარ-ყოფა. ამიტომ საჭიროა, მთელი ღონე სახელმწიფოსი და სახელმწიფოს თითოეულ ნაწილის მიქცეულ იყოს უმთავრესად იმად, რომ ქვეყანა განათლდეს და დაიცვას თავისი არსებობა, თავისი ეროვნული სახე.

ამ შემთხვევაში განსხვავებული ყურადღება უნდა მიეპყრას იმას, რომ ნაყოფი განათლებისა და მეცნიერებისა ზომიერად იყოს განაწილებული სახელმწიფოს ყველა მკვიდრთა შორის; თორემ ისეთივე საქმე დაემართებათ, როგორიც ემართება რუსეთს, სადაც ერთი ნაწილი საზოგადოებისა თითქმის ევროპასთან გასწორებულია განათლების მხრივ და ხალხი-კი ისეთის უმეცრებისა და გაუგებრობის წყვდიადით არის მოცული, როგორშიც იმყოფებოდა განათლებული ქვეყნები ამ სამას-ოთხასის წლის წინად.

როდესაც ჩვენის ქვეყნის შესახებ გვაქვს ლაპარაკი, მაშინ ასეთი განსხვავებული საწყაო, მართალია არ არსებობს, რადგანაც ქართველს გლეხს თუ ჩინებულად არა, რაოდენად მაინც ესმის განათლებულის კაცის აზრი და ამ განათლებულსაც გლეხისა. მაგრამ მაინც სასურველია და საჭირო, რომ ჩვენმა ქვეყანამ თანასწორად ისარგებლოს სწავლისა და მეცნიერების ნაყოფით და შეერთებულის ყველა მკვიდრთა მხნეობით და შრომით მოუპოვოს თავის სამშობლოს პატივისცემა და ღირსეული ადგილი განვითარებულ ერთა შორის.

როდესაც შვილდ-ისრისა და ხმლის დრო იყო, ქართველებს კარგად იცნობდა აზიაცა და ევროპაც. მაგრამ ეს დრო ახლა აღარ არის—ჩვენთვის მაინც—და ოდესმე საომარს ველზედ მოპოვებული სახელი, დღეს უნდა დავიბრუნოთ გულ-დადებულის მეცადინეობით სწავლისა და განათლების მიღებით.

ჩვენის საუკუნის დასასრულში ბრძოლა თვით არსებობისთვის მედგარია და აქ სიბრალულსა და სამართლიანობას ადგილი აღარ ეთმობა. გამარჯვებულია ის, ვინც კარგად არის შეიარაღებული ცოდნით. ამიტომ მთელი ჩვენი ძალა მიმართული უნდა იყოს იმად, რომ ხალხში გავრცელდეს დროს შესაფერი, ქვეყნისთვის ღონის მომცემი სწავლა.

თუ ქვეყანა ამ აზრს კარგად შეიგნებს, მაშინ უეჭველია ბევრის რასმესი გაკეთება შეიძლება ჩვენს სამშობლოში; შესაძლებელია სწავლისა და ცოდნის გავრცელება, მით უმეტესს, რომ თვით ახლად დანიშნული მინისტრი რუსეთისა საქვეყნოდ აღიარებს, „რომ საერო განათლებისათვის ჩვენ ფულს ყოველთვის ვიშოვნითო“.

კეთილი იყოს ეს შეპირება, და

## ფელეტონი

### ქალი თუ ვეფხი?

მეორე გამოცანა რ. სტოქტონისა*).

განვლო თითქმის წელიწადმა მას შემდეგ, რაც სამეფო ცირკის ასპარეზზედ გაწვეულ იქმნა ყმაწვილი კაცი საიდუმლო კარების შესაღებად. მეფის სასახლეში მივიდა ხუთი ელჩი სხვათა ქვეყნიდგან. წარჩინებულთ სტუმართ მიეგება დიდებული კარისკაცი, რომელსაც ერთმა ელჩთაგანმა მოახსენა:

— დიდად კეთილშობილო კარისკაცო! იმ შესანიშნავს დღეს, როდესაც ჭაბუკი მეფის ასულის სიყვარულის გულში გატარებისათვის დიდძალის ხალხის წინაშე იძულებულ იყო გამოსულიყო ცირკის ასპარეზზედ და ერთ-ერთი კარები შეეღო, თუმცა არ იცოდა, ვინ გამოვიდოდა ამ შენაღებ კარებიდგან: მძვინვარე ვეფხი, მისდა ჩასანთქმელად მზა, თუ თვალთ-წარმტაცი კეკლუცი ქალი, რომელიც იმას დაეკუთვნებოდა,—სწორედ ამ დღეს ერთი ჩვენი თანამემამულეთაგანი თქვენს ქალაქში იმყოფებოდა. მაყურებელს ხალხში ისიცა რეულიყო და, რადგან მეტად მგრძნობიერისა და ჩვილის გულის კაცია, ისე აღელვებულიყო, რა-კი ფიქრად გაევლო, შეიძლება ვეფხი გამოვიდეს და თავს ზარ-დამცემ სურათს დავესწროთ, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ჭაბუკი საიდუმლო კარებს მიახლოვებოდა, შეშინებოდა, შემჯდარიყო თავისს აქლემზედ და გამოქცეულიყო.

ეს ამბავი სამშობლოში მოიტანა და ყველანი ყურადღებით ისმენდნენ. ყველა იმასა ჰნანობდა, რომ ჩვენმა თანამემამულემ ამ ამბის დასასრულს აღარ მოუცადა, არ შეიტყო, რითი გათავდა ყოველივე. სამაგიეროდ, ჩვენ მოლოდინი გვქონდა, რომ ამბავი მოგვივიდოდა და ყველაფერს შევიტყობდით, მაგრამ აქამდე არც ერთი მოგზაური არ შეგვხვედრია თქვენის ქვეყნისა, რომ გვეკითხა. დასასრულ, ამის გამო აგვამხედრეს და გამოგვგზავნეს თქვენთან, დაგვავალეს შევიტყოთ, ვინ გამოვიდა შენაღების კარებიდგან: ქალი თუ ვეფხი?

როცა შეიტყო სახელ-განთქმულ ელჩთა მობრძანების მიზეზი, დიდებულმა კარის-კაცმა შეიწვია ელჩნი რბილს მუთაქებზედ მოსასვენებლად დარბაზში, სადაც მათ ყალიონი, ყავა, შარბათი და სხ. მიართვეს. შემდეგ დიდებულმა მოიკეცა იმათ გვერდით და სთქვა:

— კეთილშობილნო უცხო ქვეყნელნო! ვიდრე პასუხს მოგცემდეთ იმ საგნის გამოსარკვევად, რომელსაც აქ მოუყვანიხართ, უნდა გიამბოთ ერთი ამბავი, იმ საყურადღებო შემთხვევის შემდეგ მომხდარი. ყოველს დაბასა და ქალაქში ცნობილია, რომ ჩვენი მეფე დიდად თაყვანსა სცემს დედათა სიტურფეს და რომ დედოფლისა და მეფის ასულის სასახლეებში მისის საბრძანებლის ყოველ კუთხიდგან თავ-მოყრილნი არიან უკეკლუცესნი ბანოვანნი. ჩვენს შეუდარებელს სამეფოში ყოველ მხრიდგან უცხო ქვეყნელნი მოაწყდებოდნენ, რომ, როგორც ჩვენთა დედათა სილამაზეს აქვს გავარდნილი სახელი, ისევე ცნობილი არ იყოს ჩვენის მეფის მართლ-მსაჯულების სისწრაფე და დაუყოვნებლობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, შორის ქვეყნიდგან ჩვენს ქვეყანაში მოვიდა ერთი კეთილშობილის შეძლებულობისა და დიდებულის გვარის პრინცი. მეფემ მიიწოდა იგი თავის წინაშე, დიდად მოწყალედ მოექცა და ჰკითხა მიზეზი მობრძანებისა. პრინცმა უპასუხა, რომ ჩემდა ყურამდე მოახწია ქებამ თქვენის სასახლის ქალთა სიტურფისა და სილამაზისამ და ამიტომ ჩამოვედი, რომ ერთი მათგანი მეუღლედ ამოვირჩიოო.

ამ გაბედულსა და თამამ პასუხის გაგონებაზედ მეფეს რისხვისაგან შუბლზედ ძარღვები დაებერა და ყველა შიშის ძრწოლამ აგვიტანა, მოველოდდით, რომ ეს არის ბაგეთა მისთაგან სწრაფსა და საშინელს მსჯავრს მოვისმენთო. მაგრამ დიდებულმა მეფემ თავს ძალა დაატანა და უთხრა პრინცს:

— აჯა შენი აღსრულებულ იქნება. ხვალ შუადღისას დაგაქორწინებთ ჩვენის სასახლის ერთს ულამაზეს ქალთაგანზედ!

შემდეგ დარაჯს უბრძანა:

— საქორწინოდ ხვალისათვის ყოველივე მზა იყოს! აჩვენეთ კეთილშობილს პრინცს მისი ოთახი, გაუგზავნეთ ყოველ გვარნი ხელოვანნი, რომელიც-კი დასჭირდება სადღესასწაულოდ მოსართავად. გაუგზავნეთ აგრეთვე ჯავაირჩი და საჭურველთა ხელოსანი. მიეცით ყოველივე, რაც-

*) პირველი მისი გამოცანა დავბეჭდეთ შარშან, გაზ. „ივერიის“ მე-180 №-ში. იმ გამოცანის შესახებ დიდ-ძალი წერილი მოგვივიდა რედაქციაში, რომელშიაც წერილის ავტორნი სცდილობდნენ გამოცნობას, გამორკვევასა და ახსნას, ღია კარებიდგან ქალი გამოვიდა თუ ვეფხიო. ეხლა ვალად მიგვაჩნია ვაუწყოთ იმ წერილების მომწერთ, რომ იმ გამოცანის ახსნა დამოკიდებულია ბ-ნ რ. სტოქტონის ამ მეორე გამოცანის ახსნაზედ. ვინც ამას გამოიცნობს, იმას პირველი გამოცანაც გამოცნობილი და ახსნილი ექმნება.

მთარგ.

ღმერთმა ჰქნას, რომ საერო განათლებისთვის ხაზინას იმდენის გადადება შეეძლოს, რაოდენსაც დაიმსახურებს ეს საგანი და ღირსია. თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს ქვეყანასაც, უთუოდ ერგება განათლებისათვის აღმატებულის რაოდენობა ხარჯისა, რომელსაც გაიღებს რუსეთის ხაზინა, მაგრამ მაინც საჭიროა ჩვენი მხნე მეცადინეობა და შრომა, რომ ქვეყნისთვის უფრო გამოსადეგი სასწავლებლები გავამრავლოთ.

სხვისი იმედი გქონდეს, მაგრამ შენც ნუ დაძაბუნდებიო, ნათქვამია, და ეს ანდაზა არაოდეს არ უნდა დავივიწყოთ.

მეველე

# ახალი ამბავი

*** აჯიქაბული 12 თებერვალს გააუქმეს აქ ორ-განყოფილებიანი პირველ-დასაწყისი სკოლა, რომელშიაც სწავლობდნენ რკინის გზის მოხელეთა შვილები. მათი რიცხვი იყო 25, მაგრამ რა-კი ცუდის ჰაერის გამო, ბავშვებში ხშირი იყო ავადცყოფობა, ეს სკოლა გააუქმეს და მასწავლებელი მ. ფურცელაძე განჯის სადგურის სკოლაშივე გადიყვანეს მასწავლებლად.

*** ფოთი: მეტის-მეტად ცუდი გზა გვაქს ნავთ-სადგურიდამ ვოგზალამდე. ამას წინად დაიწყეს გზის კეთება, ძველი გააფუჭეს და ახალის გაჭრა დაიწყეს, მაგრამ არ გაათავეს და ამის გამო ახლა უარესს მდგომარეობაში ჩავცვივდით.

ამას გარდა ერთი სხვა გარემოებაც აწუხებს ფოთელებს: აქამდე აქ ყოველ დღე დადიოდა დილიჟნები და ეტლები სუფსის სადგურიდამ და აგერ ორი კვირა მეტია ეს მიმოსვლა ეტლებით მოისპო და მგზავრი ხალხი ამისგამო მეტად შეწუხდა. ამის მიზეზიც გზის გაფუჭებაა. სასურველია, რომ ამ ჩვენს ორს გაჭირებარაიმე ეშველებოდეს.

*** «Нов. Об.»-ს ქუთაისიდამ ატყობინებენ: დღეს, 12 თებერვალს სადგურ რიონის მისავალ გზაზედ წყლის ამოსაზიდ შენობასთან ახლო ჩამოწვა მთიდამ მიწა 200 კუბიკ. საჟ. ქვებითურთ. მიმოსვლა ამ გზაზედ შეყენებულია. დიდის თოვლის გამო, რომელიც შეუწყვეტლივ მოდიოდა ორი დღე და ღამე, ჯერჯერობით გზის გაწმენდა შეუძლებელია.

*** ტფილისის 2-რე გილდის ვაჭარმა ა. კ. ტერ-ასატუროვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას 500 მან. და სთხოვა, რომ გარდაეცით ეს ფული ქალაქის გამსესხებელს კასსასა და ამ თანხის სარგებელი, გარდა საოპერაციო ხარჯისა მიემატოს თვით თანხასა, ვიდრე კავკასიაში უნივერსიტეტი დაარსდებოდეს შემდეგ-კი ასე შემდგარ თანხის სარგებელი მოჰხმარდეს სომეხ სტიპენდიანტებს, რომლებიც ისწავლიან ამ უნივერსიტეტში, უფრო-კი ქ. ნუხის მცხოვრებლებს. („Н. О.“).

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ 12 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მუხრანიანთ ქუჩაში, მარქაროვის სახლში, ვითომდა ძმას თავისი ძმა მოუკლავს. ძმათა დიმიტრი, კონსტანტინე და გრიგორ ბახუტაშვილების სახლში მისულა მათი მეოთხე ძმა გიორგი და დაუწყვია ჩხუბი და შემდეგ ხანჯალიც ამოუღია. ერთ-ერთს ძმას გაშველების დროს წაურთმევია ხანჯალი და დაუჭრია გიორგი. გიორგი სამკურნალოში მიყვანისათანავე გარდაცვლილა. მაგრამ ჯერ კარგად არ არის გამორკვეული ამ კაცის-კვლის გარემოება: არ იციან, მართლა ძმის ხელით მოკვდა გიორგი, თუ თვითონ მოიკლა თავი.

*** ფოთიდამ სწერენ „Н. О.“-ს: ფოთის ქალაქის გამგეობამ უკვე მიჰყო ხელი საარჩევანო სიების შედგენასა მომავალ ოთხის წლის 1894—1898 ხმოსნების არჩევნებისათვის, თანხმად 11 ივნისს 1892 წელ. გამოცხადებულ ქალაქის დებულებისა. განსაკუთრებულის განცხადებით, რომელიც იყო გაკრული 1 თებერვალს მთელს ქალაქში, მოწოდებულ იყვნენ ყველა ამორჩეულები, რომ 12 თებერვლამდე გადაეხადნათ, თუ რამ საქალაქო გარდასახადი ითვლებოდა ვიზედმე. ფოთში სრული საქალაქო დებულება იქმნება შემოღებული. ამომრჩეველთა რიცხვი, როგორც ამბობენ, 250-მდეა. ამის მიხედვით ფოთის საბჭოში 29 ხმოსანზე მეტი არ უნდა იყოს.

„ჯერ არ ვიცით ვინ იყრის კენჭს ქალაქის სხვა-და-სხვა თანამდებობაზე. ერთს დროს ქალაქის მოურავად ასახელებდნენ ნ. ა. შავროვსა, მერმე ასახელებდნენ ნ. ი. ნიკოლაძეს და დ. ე. დადიანს. ამ უკანასკნელს არა ჰქონდა ფოთში საარჩევანო ცენზი, მაგრამ წარსულს კვირას უკვე იშოვა: ფოთის მომრიგებელმა მოსამართლემ დაჰნიშნა იგი საბაჟოს მოხელე ბ-ნ ზაბინის მცირე წლოვან ობლების მამულის მზრუნველად“.

*** თებერვალს მილიონის ქუჩაზე თამამშოვის სახლიდამ მოიპარეს მანდენოვის ცხენი. პოლიციის მოხელემ ქურდი დაინახა, გაეკიდა და რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა; ქურდმა ცხენი გააჭენა და პოლიციელს თვალთაგან მოეფარა.

*** ამავე დღეს ნიკოლოზის ქუჩაზე ილინის სახლთან იპოვეს ოთხის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

# დამაკვირდი

კმაყოფილებით დაფუსფუსებს ობობა, როდესაც-კი გააბავს ქსელში მოზრდილს ბუზსა; მონადირეს უხარიან კურდღლის დაჭერა, და მეთევზეს—თევზისა; მონადირეებს თავი მოსწონთ, სხვილი ნადირი მოვკალითო, გარეული ღორები და დათვები დავხოცეთო, და ბოლოს, სარდალი დღესასწაულობს მტერზე გამარჯვებასა. მაგრამ არსებითად ნუ თუ ყველა ესენი, დაწყებული ობობადამ თვით სარდლამდე იგივ ქურდები და ყაჩაღები არ არიან!?

**

ყველაზედ მაღლა ისა სდგას, ვისაც ჰკიცხავენ კეთილის საქმისათვის.

**

როდესაც კეთილი დასთესე, და ამ კეთილმა ნაყოფიც გამოიღო, რაღად სცდილობ უგუნურად ქების და ჯილდოს მიღებასა ამ შენის კეთილის საქმისათვის.

# ნაწყვეტი

ერთ წმიდა ტაძარს, დიდებულს
დაჰპატრონებენ ყვავები,
აღარ უშვებენ მტრედებსა
იმ ტაძარს ახლო სვავები;
ვნახე: ატკბობდათ ვილაცებს
ყვავ-ყორანთ დანაჩხავები,
მივაფურთხე და წამოველ
დარდებით განამწვავები.

# ხელოსანთა საყურადღებოდ

## II

(ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის დაარსების გამო)

ჩვენის ხელოსნების ყოფა-ცხოვრებისათვის ბევრს არავის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ვისაც-კი ორიოდ სიტყვა დაუხარჯავს მათ შესახებ, ყველა იმას სჩივის, რომ ჩვენი ხელოსნები შრომობენ და მათ ნამუშავარზედ ჩარჩები პარპაშობენო და სხვა., წინა წერილში ჩვენ ორიოდე სიტყვა ვსთქვით გაიძვერა ჩარჩთა ხრიკების შესახებ და აღვნიშნეთ ერთი ღონისძიებაც, რომელიც ხელოსანთ მცირე სარგებლობას არ მოუტანს. ეს ღონისძიება გახლავთ დაარსება ჩვენს ხელოსანთათვის სახელოსნო ბიბლიოთეკისა. ამისთანა ბიბლიოთეკას საკმაო სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ხელოსანთ, მაგრამ არც ეს კმარა, რომ ჩვენი ხელოსნები გაჭირვებიდგად დავიხსნათ და მყვლეფავ ვაჭართა ბრჭყალებიდგან გავანთავისუფლოთ... რაკი ჩვენი ხელოსნები ღარიბნი არიან და თვითეულს მათგანს არ ძალუძს თავის საკუთარ საქმეთა წარმოებას მოკიდოს ხელი, იგინი უნდა შეერთდნენ, შეთანხმდნენ და საერთო ძალით იმუშავონ და ივაჭრონ კიდეც.

ამ ბედნიერ აზრის შესრულება ხანში შესულ ხელოსანთ ვერ მიენდობა. აქ საჭიროა ახალმა თაობამ იჩინოს თავი, იმ თაობამ, რომელსაც მცირეოდენი განათლება მიუღია!.. დიე, ძველმა ხელოსნებმა მისდიონ იმ ანდაზას, რომელიც ამბობს: „რაც არ ექმნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“. ახალ თაობამ-კი კარგად უნდა იცოდეს მეორე ანდაზა: «ის ურჩევნიან მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა»... ძნელია იმ ხალხში ამხანაგობის დაარსება, ვინც არ იცნობს, ცოტად თუ ბევრად, უცხოელთა ხელოსნების ცხოვრებას, არ იცის მათ ამხანაგობათა, სავაჭრო სახლთა და გამოჩენილ ფირმათა არსებობის ამბავი და არც ესმის თვით ამხანაგობის დაარსების მნიშვნელობა. 1884 წელს დაარსდა ჩვენში დურგლების „ამხანაგობა“, რომელსაც ჰქონდა „საზოგადო სავაჭროც“, მაგრამ გაცრუვდა ყოველი იმედი და ხსენებულმა ამხანაგობამ სულ მცირე ხანში დალია სული!.. სამწუხარო კია, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო და აი რადა: თითო-ოროლა ახალგაზდათა გარდა, რომელთაც, ცოტად თუ ბევრად ესმოდათ ამხანაგობის დაარსების მნიშვნელობა და აზრი, რომ ამ ამხნაგობას უნდა მოესპო ჩარჩობა დურგლობის საქმეში, არავის კარგად არ ეყურებოდა ამხანაგობის გარემოება. ამხანაგობას თავისი ნაწარმოები თვითვე უნდა მიეყიდნა მყიდველთათვის ხელ-მისაწვდომ ფასად; ამით მყიდველის გულსაც მოიგებდა და მრავალს თანამგრძნობელსაც მიიზიდავდა: თვითონაც იხეირებდა და მყიდველთაც არგებდა. ამხანაგობაში მალე, ვინ იცის, რა აზრის ხელოსანი არ მოყვა, და აი ამ გაუგებარ უმეტესობის წყალობით, ამხანაგობაში საიდგანღაც ვაჭრებმაც შესდგეს ფეხი. იცოცეს, იჩოჩეს ხსენებულმა ვაჟბატონებმა და თავიანთი ჩვეულებრივის ხრიკებით მალე ამხანაგობას თავს წამოასკუპდნენ, იგდეს ხელთ ამხანაგობის აღვირი და გასწიეს და გამოსწიეს ისე, როგორც სურდათ.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამხანაგობას, რაც უფრო ცოტანი აარსებენ და შემდეგ დაარსებისა რაც უფრო ბევრნი ემატებიან, მით უკეთ მიდის საქმე. იქაც-კი სადაც ისე იშვიათი საქმე არ არის ამხანაგობათა დაარსება, ჩვენში ხომ ამ წესად მიღებულს ჩვეულებას დიდი უპირატესობა უნდა ექმლოდეს. მცირე გუნდმა უნდა შეიმუშავოს წესდება და ამხანაგობა მოქმედებას დაიწყებს. ვისაც მოეწონება წესდება, ის მივა და ითხოვს ამხანაგად შესვლას; ვისაც არ მოეწონებს და სახეიროდ ვერ დაინახავს, ის არც ახლო გაუვლის ამხანაგობას. პირველად დაარსებულ ამხანაგობის გაუქმებამ ბევრს გული მოუკლა და დღეს მრავალია

---

კი მოუნდება, რომ ხვალინდელის დღესასწაულისათვის მოემზადოს.

— თქვენო უდიდებულესობავ, შესძახა პრინცმა: მაგ სამზადისამდე, მე მსურს...

— ხმა, კრინტი! დაიქუხა მეფემ. ჩემი უმაღლესი ბრძანება გაცემულია და სხვა არღა არის-რა საჭირო. წყალობა მთხოვე და მეც გიწყალობე. კმარა. ნახვამდის, ჩემო პირნცო, ხვალ შუადღისას კვლავ ვნახავთ ერთმანეთს!

მეფე წამოდგა და გავიდა სადარბაზო ოთახიდგან. კარის-კაცებმა-კი წაიყვანეს პრინცი განსასვენებელს ადგილას და შეუდგნენ მისის საქორწინო ტანთსაცმელის სამზადისს. პრინცი მოუსვენრად და აღშფოთებული იყო.

— არ მესმის, რას უნდა მოასწავებდეს ასეთი აჩქარებაო, ეუბნებოდა კარის-კაცთ. როდის მიმიყვანენ სეფექალებთან, რომ ერთი მათგანი ამოვირჩიო? ჩემთვის მარტო იმისის ტანადობისა და სახის ნახვა არა კმარა, მსურს, რომ ხასიათის მხრივაც გამოვცადო.

— ჩვენგან მაგისი შეტყობა შეუძლებელიაო, უპასუხეს. რასაც ჩვენი მეფე განიზრახავს, შეასრულებს კიდეც; სხვა ჩვენ არა ვიცით-რა.

— მეფის აზრი და ქცევა ცოტა უცნაურად მიმაჩნიაო, შენიშნა პრინცმა: მე სულ სხვა აზრი, სხვა შეხედულობა მაქვს.

ამ დროს მას მიუახლოვდა ერთი კარის-კაცთაგანი, რომელიც პრინცმა აქამდე ვერ შენიშნა. დიდად წარმოსადეგი და მხიარული კაცი იყო, მარჯვენა ხელში მხარზედ გადებული მახვილი ეჭირა და ისე ნებიერად მიჰქონდა ეს საშინელი იარაღი, თითქოს მძინარე ყმაწვილი იყოსო.

მიახლოვებისათანავე მძიმედ დაუკრა თავი ყმაწვილს კაცს.

— ვინა ხარ? ჰკითხა პრინცმა და, მახვილი რომ დაინახა, უკან დაიწია.

— მეო, უპასუხა მან ალერსიანის ღიმილით: შემწე გახლავართ გაუბედავთა. როდესაც ჩვენი მეფე ქვეშევრდომსა თვისსა ანუ სტუმარს თავისს ნებას განუცხადებს, და იგი შემთხვევით არ ეთანხმება მეფის აზრს, მე დამავალებენ ხოლმე იმის ახლოს ყოფნას. მეფის სურვილის გზაზედ გაუბედაობას გამოიჩენს თუ არა ვინმე, საკმარისია ერთი-კი შემომხედოს, რომ კვლავ განაგრძოს სვლა.

პრინცმა შეჰხედა, და ბრძანება გასცა, ტანთსაცმელის ზომა აეღოთ.

მრავალნი მეწაღენი, თერძნი და მექუდენი ჰმუშაობდნენ მთელის ღამის განმავლობაში, და მეორე დღის დილას, როდესაც ყოველივე მზად იყო და შუადღე ახლოვდებოდა, პრინცი შეეკითხა კარის კაცთ, როდის წავალთ სეფე-ქალთა გასასინჯადაო.

— ეგ მეფეზედ არის დამოკიდებული, ჩვენ არა ვუწყით-რაო, უპასუხეს კარის-კაცებმა.

— თქვენო უმაღლესობავ, სთქვა მახვილის მზიდველმა და დიდის პატივისცემით მისცა სალამი პრინცს: კეთილ ინებეთ და სცანით, რა შესანიშნავად ბასრია ეს მახვილი.

თავიდგან ბეწვი გამოიძრო, დააგდო მახვილის პირზედ და თმა მახვილის მიკარებისათანავე შუაზედ განიპო. პრინცმა შეჰხედა და ზურგი შეაქცია.

ცოტა ხანს შემდეგ პრინცის მისახმობად მოვიდნენ მსახურნი, რომელთაც დიდს დარბაზში მიიყვანეს, იქ, სადაც ზეიმი უნდა გამართულიყო.

მეფე დიდის წარჩინებით ტახტზედ იჯდა და გარს თავად-აზნაურნი, მეომარნი და კარის-კაცნი ერტყნენ. პრინცი შედგა მეფის წინაშე, სალამი მისცა და მოახსენა:

— ხელმწიფეო! ვიდრე განაგრძობდეთ...

მაგრამ ამ დროს მასთან მივიდა მსახური, რომელსაც განიერი თეთრი აბრეშუმის ხელსახოცი ეჭირა. მსახურმა ჯერ ძალიან ხერხიანად აუკრა პირი პრინცს, რომ ლაპარაკი ველარ შესძლებოდა, შემდეგ სახეზედ შემოახვია თვალის ასახვევად, ასე რომ ყურები და ცხვირის ნესტოებიღა უჩანდა პრინცს; მერე ხელსახოცის წვერები მაგრად გამოჰკრა მსახურმა და განშორდა.

პრინცმა მაშინვე ასწია ხელი ხელსახოცის მოსაშორებლად, მაგრამ უცბად საჭურვლის მტვირთველის ჩურჩული მოესმა: „აქა ვარ, თქვენო უმაღლესობაო!“, შეკრთა და უღონოდ ჩამოუშვა ხელები.

გაისმა მოგვის ხმა, რომელმაც ქორწინების წესის გარდახდა დაიწყო და პრინცმა თავის გვერდით გაიგონა ოდნავ მოშრიალე აბრეშუმის კაბის ხმა. მოგვმა უბრძანა მარჯვენა ხელის გაწვდენა და პრინცი აღტაცებით აკანკალდა, როდესაც მის ხელს ვიღასიც პაწია, ლბილი და ნაზი ხელი შეეხო. შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მოგვმა ჯერ ყმაწვილს ქალსა ჰკითხა, თანახმა ხარ ცოლად გაჰყვე ამ ბატონსაო. პასუხად ქალმა ნელის ხმით, მაგრამ ისეთის ნაზის ხმით, რომ პრინცს არასოდეს არ გაეგონა ასეთი ხმა, უპასუხა: „თანახმა ვარო“.

პრინცს სისხლი გულთან მოაწვა: უცნობის ქალის შეხებამა და ხმამ აღტაცებაში მოიყვანა; ესეც არ იყოს, იქვე საჭურვლის მტვირთველი იდგა, და ამიტომ პრინცმა გაბედვით უპასუხა მოგვს: „მეც თანახმა ვარო“.

მოგვმა განაცხადა, ქორწინების

ისეთი ხელოსანი, რომელსაც აღარა სჯერა-რა ამხანაგობისა და, თუ წინად იმედით შესცქეროდა ამისთანა საქმეს, დღეს აღარც ეს იმედი აქვს. ამ სახით, ახლა უფრო ძნელია ამხანაგობის დაარსება, ვიდრე წინად იყო, მაინცა და მაინც ცდა ბედის მონახევრეა. ნასწავლმა ხელოსნებმა უნდა მოიყაროს თავი ერთად და ხელ-ახლად ახალის ძალღონით უნდა შეუდგნენ ამ საქმეს—ამხანაგობის დაარსებას, რადგან ეს არის ერთად-ერთი ღონე იმისი, რომ ღარიბმა ხელოსნებმა თავისი ალალი ლუკმა თვითონვე სჭამონ და სხვას არ ჩაუვარდეს ხელში მათის ოფლით მოპოვებული სიმდიდრე.

ტეხნიკოსი გრ. თოიძე

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ჟურნალ „Nineteenth Century“-ში დაბეჭდილია ხსოვნა-მოგონება ანნა კლერმონტისა ბაირონისა და შელლის შესახებ. ეს ქალი ბაირონის საყვარელი ყოფილა 1815 წელს და იმისაგან ქალიშვილი მისცემია. შემდეგ უსიამოვნება მოსვლია შესანიშნავ პოეტთან და იმის მეგობარ, პოეტ შელლთან დაიწყო ცხოვრება. ქ-ნი კლერმონტი დიდად ჰკიცხავს ბაირონს და შელლის-კი აქებს. საყურადღებოა, სხვათა შორის, რა აზრისანი ყოფილან ორნივ პოეტნი ქალების შესახებ. ბაირონი იმ აზრისა იყო თურმე, რომ დედაკაცი მამაკაცზედ დაბლა სდგას და სრულად ეთანხმებოდა ამ მხრივ აზიელთა აზრს. დედაკაცები იმის ღირსნიც-კი არ არიან, რომ მამაკაცთან ერთად სუფრასთან იჯდეს და პურსა სჭამდეს, ისინი ჭარამხანებში უნდა იყვნენ დამწყვდეულებიო. შელლის, პირ-იქით დიდად იზიდავდნენ ქალები. იგი ამბობდა ხოლმე, რომ დედაკაცი მამაკაცთან შედარებით გაცილებით მაღლა სდგას და იმაზედ უფრო კეთილშობილიაო.

—

ამერიკის ჟურნალ «Cosmopolitan»-ში გერმანიის შესანიშნავი მწერალი შპილჰაგენი მწარედ სჩივის, რომ გერმანელები უცხო ქვეყნების ლიტერატურის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და დიდად პატივსა სცემენ მხოლოდ რუსეთისა, საფრანგეთისა და სკანდინავიიდგან მოსულს ღმერთებს. ამის გამო დიდი ზარალი მოსდით გერმანიის მწერლებსაო.

—

ნიუ-იორკის ჟურნალს «Forum»-ში დაბეჭდილია წერილი სტოფორდისა „ამერიკის ლიტერატურის მიმართულებისა და წარმატების შესახებ“. ამ წერილში ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში სალიტერატურო ჟურნალთა რიცხვი ძალიან გამრავლდა, წინად თუ 428 იყო, ეხლა 1,051-მდეა და ეხლა ყველა ისე ეტანება პაწია, სამ-ოთხ გვერდიანს მოთხრობებს, რომ სქელს რომანებს თითქმის აღარავინ ეკარებაო. ამ ჟამად უფრო ძველს მწერლებსა კითხულობენ, ჰომიროზს, დანტეს, შექსპირს, ბალზაკს, ტეკკერეის. ამერიკა წარსულის ლიტერატურითა საზრდოობს და თვით ახალს ნაწარმოებს აღარაფერსა ჰქმნისო.

## გასართობი

—

ორი პრუსიელი ჯარის კაცი აღლუმის შემდეგ შინ დაბრუნდნენ და გზაზედ ლაპარაკობდნენ:

— ნახე, რა საძაგელი ქუდი ეხურა დღეს ფრიცს? (ფრიდრიხ დიდი) ჰკითხა ერთმა.

— ვნახე, უთხრა მეორემ, მაგრამ შენ შეჰნიშნე, რა მშვენიერ თავს ეხურა ის საძაგელი ქუდი?

**

ერთმა ძუნწმა დედაკაცმა შეატყო თავის თავს, რომ კვდებოდა, სანთელი ჩააქრო და სთქვა: „სიკვდილი ბნელშიაც შეიძლებაო“.

**

ერთი ეკონომი აღტაცებით შევარდა თავის მეგობრის ოთახში და უთხრა:

— იცი, ვინ მიიღო დღეს ჯილდო პირუტყვებთა გამოფენაზედ?

— არა, ვინა?

— მე!

## გამოსადეგი ცნობა

—

აი ადვილი საშუალება ისეთის წებოს შემზადებისა, რომელიც არა სველდება: აიღეთ სადურგლო წებო და დაასველეთ წყალში ისე, რომ გაფუვდეს; მერე სელის ზეთი ჩაასხით ჭურჭელში, ჩასდეთ ეს წებო შიგ და დადგით ნელ ცეცხლზედ, იდგას ასე, მანამ ყილისავით გახდება, შემდეგ გადმოიღეთ და წებო მზად იქნება. ამ წებოთი შეგიძლიანთ დააწებოთ ყველაფერი. დაწებებული ნაჭრები რამე ნივთისა აღარ მოშორდება ერთმანეთს, რადგან ამისი ღირსება ის არის, რომ სისველეს არ მიიკარებს.

## სამეცნიერო ნაწილი

—

### ქორწინება და ჭლექი

ეჭვი არ არის, რომ ჭლექი უფრო საშინელი სენია, ვიდრე ხოლერა და სხვა გადამდები სნეულებანი. სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ $^1/_7$ და ზოგან $^1/_5$ ნაწილი მცხოვრებელთა ჭლექისა გამო ეხოვება ამ წუთისოფელს. ამბობენ, რომ ჭლექი მემკვიდრეობით გადადის მამისაგან შვილებზედ და ძალიან გადამდებიაო. თუ ასეა, საკითხავია, ჭლექიანს ნება აქვს თუ არა ცოლის შერთვისა. აი ამის გამორკვევა განუზრახავს საფრანგეთის ექიმს ლეონ პტის, რომლის წერილიც გაზ. „Revue Scientifique“-შია დაბეჭდილი.

ამ ექიმის აზრით, ძნელია გადაწყვეტით თქმა, მართლა მემკვიდრეობით გადადის თუ არა ჭლექი ერთისაგან მეორეზედ. ზოგნი ამას გადაწყვეტით ამბობენ, ზოგნი გადაწყვეტითვე უარსა ჰყოფენ. თუ მაგალითების დასურათებით განიზრახეთ ეს საგანი, ამ შემთხვევაშიაც გამორკვეულს ვერაფერს გაიგებთ. მაგალითებრ, აგერ ჭლექიან ცოლსა და ქმარს სამი სრულიად ჯან-საღი ყმაწვილი ჰყავთ. უფროსი ამ ყმაწვილთაგანი ირთავს ერთს ახალგაზდა ქალს, რომელიც შემდეგ ჭლექითვე ჰხდება ავად, მაგრამ ოთხი ამათი ყმაწვილი-კი სრულიად ჯან-საღნივენი არიან. მეორე მაგალითი: ცოლქმარნი სრულიად კარგად მყოფნი არიან. სამი შვილი ჰყავთ. უფროსი ჯან-მრთელია, დანარჩენი ორი-კი ჭლექით არიან სნეულნი.

ერთის სიტყვით, ძნელი გამოსაცნობია, მართლა მემკვიდრეობით გადადის ეს სნეულება, თუ არა. საზოგადოდ სამემკვიდრეო სნეულებადა სთვლიან სულის ავადმყოფობას, კუს და ჭლექს, მაგრამ აბა ძველს საუკუნეებს გადაჰხედეთ და დარწმუნდებით, ერთი ოჯახი არა ყოფილა, რომ ერთ ამ სენთაგანით ავადმყოფი არა ჰყოლოდეთ. ამ გვარად, ასეთ სნეულებით დაავადებულ მშობლების შთამომავალთ რომ აღკრძალული ჰქონდეთ ჯვარის დაწერა, მაშინ ცოლს ველარავინ შეირთავდა.

ის-კი აშკარაა, რომ ჭლექი ისეთს ყმაწვილებს უფრო ძალიან ეტანება, რომელთა მშობლებიც ამ სენით ყოფილან ავად, იმათი ბუნება უფრო ადვილად იშენევს, ადვილად იკარებს ამ სენს, „მიდრეკილება“ აქვთ სენისადმი. აშკარაა, რომ მიდრეკილობასა და აუცილებელ მემკვიდრეობით დასნეულებას შორის დიდი განსხვავებაა. მიდრეკილობასთან შეიძლება ბრძოლა სიფრთხილის შემწეობით. ჭლექი უფრო საშინელი იმიტომ არის, რომ იგი გადამდებია.

ამ შვიდმეტის წლის წინად პროფესორმა რობერტ კოხმა აღმოაჩინა ამ ბოროტების მიზეზი—ბაცილა, რომელიც აჩენს ხოლმე ჭლექს, ანუ ზლმურდლურას. საყურადღებო ის არის, რომ ინდოეთის ველურნი ხალხნი ძალიან ერიდებიან იმ სხვა ქვეყნელთ, რომელთაც ხველა სჭირთ, და მათ ნახმარ ნივთებსაც-კი.

საზოგადოდ ჭლექი ნელ-ნელა იჩენს ხოლმე თავს და ძნელია მისი გამოცნობა. როდესაც შენიშნავენ ხოლმე, მაშინაც ადვილი გამოსარკვევი არ არის დრო მისის დაწყებისა. ავტორს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს ჭლექის გადამდებლობისა. ერთმა ოვერნელმა, ჭლექით ავადმყოფმა, შეირთო ჯან-საღი, მშვენიერი გლეხის ქალი, რომელსაც სიჭლექისა სულ არა ეტყობოდა-რა. ერთის წლის შემდეგ ეს ოვერნელი დაქვრივდა, რადგან ცოლი ჭლექის სენით გარდაიცვალა. ჭლექით ავადმყოფმა ოვერნელმა მეორე ცოლი შეირთო, მაგრამ იმასაც ის დღე დაადგა. ამ გვარად რამდენისამე წლის განმავლობაში ამ კაცმა სამი ცოლი დამარხა, სულ ჭლექისაგამო გარდაცვლილნი. ამ ჟამად ეს ოვერნელი ეს ჭლექი კაცი უკვე მეხუთედ დაქვრივებულია და ალბად მეექვსე ცოლსაც შეირთავს. (?)

უფრო საყურადღებოა შემდეგი ამბავი: ერთმა ჭლექით ავადმყოფმა ცოლი შეირთო. ექვსის თვის შემდეგ ეს კაცი გარდაიცვალა. მისი ქვრივი მისთხოვდა მეორეს, მაგრამ ცოტახნის შემდეგ ეს ქალიც გარდაიცვალა, რადგან ჭლექი გადსდებოდა პირველ ქმართან ცხოვრების დროს. იმისმა მეორე ქმარმა მეორე ცოლი შეირთო და წელიწად-ნახევრის შემდეგ ეს ცოლ-ქმარნი ჭლექისაგან გარდაიცვალნენ, მთელი ეს ამბავი სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში დატრიალდა.

შინაურს პირუტყვსაც-კი იმსხვერპლებს ხოლმე ეს საშინელი სენი. ექიმი ნაკარი მოგვითხრობს, რომ ერთს საქათმეში დიდ-ძალი ქათამი გაწყდა ჭლექისა გამოო. რაიყო ამის მიზეზი? ის იყო, რომ ახალგაზდა ქალი, რომელიც შინაურს ფრინველს უვლიდა და ჰპატრონობდა, ჭლექით იყო ავად, ახველებდა და ნახველი ამოსდიოდა ხოლმეო. დანარჩენი აშკარაა. ამ გვარად, ცხადადა სჩანს, რომ უმთავრესი საშვალება სენის გავრცელებისა ნახველია, ავადმყოფის ფილტვებიდგან ამოსული.

არც ჭლექიანთან ცხოვრებით, არც მეზობლობით, არც სულთქმით, არც ოხშივარით არ გადადის ჭლექი, სენის გადამდებია მხოლოდ ნახველი ჭლექიანისა და მხოლოდ ამ მიზეზს უნდა ებრძოლოს ადამიანი ყოველის ღონისძიებით, ხოლო ყოველ უწინარეს საჭიროა, მთელმა საზოგადოებამ შეიგნოს, რომ არაფერი ზრდილობიანობაა ფურთხის და ნახველის აქეთ-იქით სროლა; ამას ვინ სჩივის, იგი დიდად აზარალებს გარს მყოფთაც-კი. ამას უნდა ერიდნენ ჭლექით ავადმყოფნი-კი არა, არამედ კარგად მყოფნიც, რადგან დასაწყისშივე ძნელად გამოსაცნობია ეს სენი, რომელიც ერთ გვარად ეტანება გამხდარსაც და სუქანსაც, ჯან-საღსაც და ჯან-გატეხილსაც.

სხვათა ცნობილ სიფრთხილეთა შორის, გავიხსენებთ მხოლოდ, ჭლექიანი დიდს, სუფთა ჰაერიანს ოთახში უნდა სცხოვრობდეს. კედლებზედ ამ ოთახს არ უნდა ჰქონდეს ჩამოკიდებული ხალიჩები და ფარდაგები, რადგან ბაცილები ადვილად იბუდებენ ასეთს ნივთებში; ოთახი უნდა სველის ტილოთი გასწმინდონ ხოლმე, რომ არ ამტვერიანდეს. კარგი იქნება აგრეთვე, რომ ავადმყოფის ოთახი ზამთარშიაც გაანიავონ ხოლმე, საფურთხებელში ნახევრამდე წყალი იდგეს და მალ-მალე ირეცხებოდეს და ავადმყოფს ორ-ორს კვირას ამყოფებდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა სადგომში.

ჭლექი და ქორწინება? ამ მხრივ-კი როგორ იხელმძღვანელოს ადამიანმა? თუ ჭლექი მემკვიდრეობით არ გადადის ერთისაგან მეორეზედ, მხოლოდ გადამდები სნეულებაა, სასტი-

---

წესი გადახდილიაო. პრინცს ახლო კვლავ შრიალი გაისმა, თვალთაგან ხელსახოცი შემოეხსნა და საჩქაროდ მიიხედ-მოიხედა, რომ დაენახა თავისი საბედო. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ქალი არავინა სჩანდა, თითონ იდგა მარტო. ამ მოულოდნელმა გარემოებამ ისე გააოცა, რომ ბაგენი ველარ დასძრა და ხმა-ამოუღებლად მიმოიხედებოდა.

მაშინ მეფე წამოდგა ტახტიდგან და ხელი დაუჭირა.

— ჩემი მეუღლე სად არის? იკითხა პრინცმა.

— აქ არის,—უპასუხა მეფემ და მიიყვანა ერთს გვერდის კარებთან, რომელიც მაშინვე ყურთამდე გაიღო. მეფე და პრინცი შევიდნენ გრძელს ოთახში, რომლის აქეთ-იქით კედლებთან იდგა თოთხმეტი დიდად მშვენიერი და კეკლუცთ უკეკლუცესი ყმაწვილი ქალი, სილამაზით ერთმანეთის შესადარნი, ძვირფასად დართულნი.

— აგერ,—უთხრა მეფემ და ყმაწვილნი ქალნი ანიშნა.—მიუახლოვდი და ხელი დაუჭირე შენს მეუღლეს. მაგრამ ვაჲ შენდა, თუ გაჰბედავ და ქალწულს შეეხები, სიკვდილისაგან ველარა გიხსნის-რა. მაშ ნულარ აყოვნებ, მიდი და ხელი მოავლე შენს მეუღლეს.

თითქოს სიზმარში იყოსო, პრინცმა ორჯელ გაუარ-გამოუარა ორრიგად მდგომ ყმაწვილ ქალთ. მაგრამ ვერც ერთს ვერ უპოვნა ვერავითარი ისეთი ნიშანი, რომ იგი სხვათაგან გაერჩია: ყველას ერთ გვარი ტანისამოსი ეცვა, მის მიახლოვებისათანავე ყველას წითელი ფერი გადაჰკრავდა, წამწამებს აიწევდნენ და მაშინვე მილულავდნენ ხოლმე თვალებს, ყველას თეთრი, ფუნჩულა ხელი ჰქონდა და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს, არც ერთს თითიც არ შეუნძრევია, რომ ენიშნებინათ რამე პრინცისათვის. ალბად მეფისაგან სასტიკადა ჰქონდათ ეს აღკრძალული.

— რაღას აყოვნებ! დაიქუხა მეფემ. მე რომ ისეთი მშვენიერი მეუღლე მრგებოდა, ერთს წუთსაც აღარ ვახანებდი და სახლისაკენ გავიტაცებდი.

გაოგნებულმა პრინცმა კიდევ ერთხელ გაუარა ყმაწვილს ქალებს, მაგრამ აქ-კი ცვლილება შენიშნა. როდესაც ერთის მშვენიერის ქალის წინ მიდიოდა, იმის სახეზედ სიამოვნების ღიმილს მოჰკრა თვალი, ამავე დროს კი მეორემ, პირველთან შედარებით არა ნაკლებ თვალთ-წარმტაცმა მშვენიერმა, ოდნავ შესამჩნევად სახე მოიღრუბლა.

— ეჰე, ეჭვი არ არის, რომ ერთი ამათგანი ჩემი მეუღლეაო, იფიქრა პრინცმა. კარგი, მაგრამ რომელია ამათგანი? ერთმა გაიღიმა! განა ასეთს გარემოებაში არ გაიღიმებდა ყოველი ქალი, ქმარს რომ დაინახავდა ახლოს? გარნა იქნება იმისი ღიმილი იმ სიამოვნების აღმნიშვნელიც იყო, რომ ჩამიარა და, მაშასადამე, აღარ გავხდები ჩემდა უნებურად იმის დაღუპვის მიზეზიო.

მეორეს მხრივ: განა სახე არ მოეღრუბლებოდა ყოველს ქალს, როდესაც ჰნახავდა, გვერდზედ ჩამიარა ჩემმა ქმარმა და თავისი მეუღლე-კი ვერ მიცნოო? განა მშვენიერს წარბებს არ შეიჭმუხვნიდა და არ იფიქრებდა: «შენი მეუღლე ვარ, ვერა ჰხედავ? ან ნუ თუ ვერა ჰგრძნობ მაინც? მომიახლოვდიო!» თუ ის არის, განა არ შეიძლება იმის გამოც მოეღრუბლა სახე, რომ მივუახლოვდი? ხომ შეეძლო ეფიქრა: „ნუ შესდგები ჩემს წინაშე, ჩაიარე, აგერა შენი მეუღლე, იმასთან მიდიო!“.

იქნება ისიც იყოს, რომ ჩემს მეუღლეს ქორწინების წესის გადახდის დროს ჩემი სახე ვერ დაენახოს. იმ ერთს გაეღიმოს იმიტომ, რომ მოვწონებოდე; ანუ: იმ მეორეს შუბლი შეეკრას იმიტომ, რომ ჩემი სახე არაფრად მოსვლოდეს თვალში. ქალი ღიმილით სატრფოს მიახლოვებასა სთხოვს, თუ შუბლ-შერჭმით ურისხდება დაყოვნებისათვის? ღიმილი...

— უკანასკნელად გიცხადებ! შესძახა მეფემ განრისხებულის ხმით: თუ ათის წამის განმავლობაში შენს მეუღლეს არ მიაგნებ, ის ქალი დაქვრივდება და შავის ძაძის ჩაცმას იქნება იძულებული.

ამასთან საჭურველის მტვირთველი მიუახლოვდა პრინცს და ჩასჩურჩულა:

— აქ გახლავართ...

პრინცს ერთის წუთის დაყოვნებაც აღარ შეეძლო. მივიდა და ერთს ქალს წაავლო ხელი.

მყის გაისმა ზართა რეკვისა და ხალხის მხიარულების ხმა. მეფე თვით მივიდა პრინცთან და მიულოცა, რადგან ყმაწვილმა კაცმა გამოიცნო და სწორედ იმას წაავლო ხელი, რომელიც იმასთან დაქორწინებული იყო.

— და აი, დააბოლოვა თავისი ლაპარაკი დიდებულმა სხვათა ქვეყნის ხუთ ელჩთან: თუ შეიძლებთ იმის გამოცნობას, რომელს წაავლო პრინცმა ხელი: იმას, რომელიც იღიმებოდა, თუ იმას, რომელსაც სახე მოეღრუბლა,—გაგიმხელთ კიდეც, შენალებ კარებიდგან ვინ გამოვიდა: ქალი თუ ვეფხი?

როგორც ამ ბოლოს დროს მოსულ ამბავთაგან ვიცით, ხუთს სხვა ქვეყნელ ელჩს ჯერ აქამდისაც ვერ გამოუცვნიათ ეს გამოცანა.

ორ-ანი

კი უსარგებლო საქციელი იქნებოდა ყმაწვილს კაცებს ცოლის შერთვა აღეკრძალოთ მარტო იმისათვის, რომ დედ-მამა ჭლექითა ჰყავთ დახოცილები. სულ სხვაა, თუ უცოლო ყმაწვილი კაცი თითონვეა ჭლექით სნეული, ამ შემთხვევაში უეჭველად უნდა ურჩიოთ ცოლის შეურთველობაო, ამბობს ექიმი პტი, თუმცა ესეც გადაწყვეტით არ ითქმის და იმაზედ არის გამოკიდებული, რამდენადა აქვს ადამიანს სენი მოდებული.

ყოველს შემთხვევაში დიდი უსამართლობა იქნება, რომ ყველას, ვისაც-კი ბუნებით მიდრეკილება (предрасположеніе) აქვს ჭლექი სნეულებისაკენ, აღეკრძალოს ცოლის შერთვა. ჯერ ერთი, შეიძლება სულაც არ გახდეს ასეთი ადამიანი ჭლექით ავად; მეორე, ჭლექიანიც რომ იყოს ადამიანი, აღკრძალვა არაფერს უშველის, რადგან მაშინ იგი უკანონოდ შეუკავშირდება ვისმე და უკანონო ჭლექით ავადმყოფი ყმაწვილები დაიბადებიან, რომელნიც უფრო ცუდს ცხოვრებაში იქნებიან და უფრო ადვილად შეიქმნებიან ამ სენის მსხვერპლნი. ჭლექიანებს, ექიმის პტის აზრით, არ უნდა აღეკრძალოთ ცოლის შერთვა, რადგან საფრთხილონი და საშიშნი, სენის გამავრცელებელნი თითონ ისინი-კი არ არიან, იმათი ნახველია.

## დეპეშა

**პეტერბურგი.** 15 თებერვალს. მომავალს კვირას სახელმწიფო საბჭოში იქნება განხილული პროექტი, რომელსაც აქვს აზრად დაუნიშნოს ზედამხედველობა 18 რუსეთის გუბერნიაში მექარხნეებსა და მუშებს წესიერი დამოკიდებულება ექნეთ ერთიმეორესთან.

**პარიზი.** სან ჟაკის ქუჩაში დინამიტის ამფეთქებელი გამოდგა რევაშოლის დაახლოვებული მეგობარი—მენიე. ფიქრობენ, მენიე ლიონს მახლობლად იმალებაო.

გუშინ სან დენის ქუჩაზე მოხდა სრულიად გაუგებარი აფეთქება დინამიტისა. არავინ არ დაჭრილა. ჯერაც არ იციან უბედური შემთხვევით მოხდა ეს აფეთქება, თუ განზრახვით. დაიჭირეს ერთი ვინმე კუმონი, მაგრამ ისევ განათავისუფლეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით ჩვენის უღრმესის თხოვნით მივმართოთ ტფილისის და ქუთაისის „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობასა“, რომ თავიანთი გამოცემის თითო ცალი უგზავნონ გურიის სახალხო წიგნთ საცავს და მათის შემწეობით ჩვენშიაც გავრცელდეს წერაკითხვა.

ამასთანავე უმორჩილესად ვსთხოვთ ჟურნალ „მოამბის“ გამომცემელს, რომ თვისის გამოცემის თითო ცალს ნუ დაიშურებს ჩვენის ღარიბ წიგნთ საცავისათვის; თუმცა მათი გამოცემა ჯერ კიდევ ნორჩი არის და შეიძლება ბრძანონ, ჰაი იქით შემწეობა უნდაო, მაგრამ მისი გამომცემელი ისეთი ფეხდადგმულია და თანაც დაუზარებელი კაცი, რომ მისი გამოცემული ღარიბათ არ იხსენება.

დამაარსებელნი წიგნთ საცავისა
ვისია თავდგირიძე
ისიდორე რამიშვილი
არსენ წითლიძე
ჯამულეთი ბაქუნაიშვილი

## ანგარიში

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში იმ შემოსავლისა და ხარჯისა, რომელიც ჰქონია გორის დედათა პროგიმნაზიას 1893 წლის განმავლობაში.

შემოსავალი:

1892 წლის დარჩენილა 777 მან. 25 კაპ., მის უმაღლესობის დიდის მთავრინა ანასტასია მიხეილის ასულისაგან მისვლია 100 მან., მთავრობას შეუწევია 1000 მან., ქალაქს გორს 1200 მან., სწავლებისა შემოსვლა 3269 მან., კნ. ა. ა. ამილახვარისაგან 50 მან., გორის კლუბისაგან 261 მან., საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთაგან 154 მან. 50 კაპ., შემოსავალი დუქნებისა 30 მან., და სხვა შემთხვევითი შემოსავალი 152 მან. 32 კაპ. სულ 6994 მან. 7 კაპ.

დახარჯულა:

მასწავლებელთათვის 4822 მან., სასწავლო ნივთებისათვის 200 მან., საშინაო ხარჯი 200 მან., კანცელარიის ხარჯი და სამუშაოს მასალა 127 მან., სახლის შეკეთებისა და დაზღვევის ხარჯი 167 მან., შეშა 273 მან., მკურნალს 50 მან., მოსამსახურეებს 436 მან., პარტები 48 მან., საათი 40 მან., გარმონი-ფლეიუტი 30 მან. სულ 6393 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7^1/_3$ | $7,_{53}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | $150^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $243^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 228 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $100^3/_8$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | $48^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**ა—ძს. ი. ა—ლს.** სამწუხაროდ, თქვენი ტერმინები 26 ნომრიდამ 34-მდე დაგვეკარგა და გთხოვთ ხელ-მეორედ გამოგვიგზავნოთ.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასეკვიჩი**, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ქალაქის სამკურნალო

(მუხრანიანთ ქუჩა, სახ. ყუზანოვისა № 15)

დაარსებულია ტფილისის მოქალაქეთაგან 1866 წლის 4 აპრილის სახსოვრად გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა-დღეებს გარდა, ზამთრობით დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე, ხოლო ზაფხულობით (ივნისს, ივლისს და აგვისტოს) 8—12 საათამდე.

ვ. მ. არწრუნი—სნეულებანი: შინაგანი, ნერვებისა და ყმაწვილებისა $10^1/_2$—12 საათ.

კ. ა. გონიევი—სნეულებანი: შინაგანი და ყმაწვილებისა $10^1/_2$—12 საათ.

გ. გ. გულუღიანცი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—დედათა ავადმყოფობანი 9—11 საათ.

ნ. გ. ყასუმოვი—სნეულებანი შინაგანი და ყმაწვილებისა 11—1 საათ.

ს. ნ. ლევინი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

მ. ა. მირაქოვი—შინაგანი და ვენერიული 12—1 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით).

ა. გ. მურზაევი — სნეულებანი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 9—10 საათ. (ყოველ-დღე ხუთშაბათს გარდა).

ქალი-ექიმი ლ. ა. მუხარინსკისა—დედათა სნეულებანი 11—12 საათ.

ი. ა. რაზამატი — სნეულებანი: შინაგანი, ყმაწვილებისა და ტკივილი კბილებისა 9—10 საათ.

მ. ა. რეხტზაბერი—სნეულებანი: შინაგანი და ნერვებისა 11—12 საათ.

გ. ნ. სტეფანოვი — სნეულებანი: შინაგანი, ასოთა და ვენერიული 11—12 საათ.

გ. ა. თარხანოვი—სნეულებანი: შინაგანი და ხირურგიული 12—1

ქალი-ექიმი ს. ა. შმიტცი—სნეულებანი დედათა და ტკივილი თვალებისა 11—12 საათ.

დანტისტი ა. ო. ორბელი — ტკივილი კბილებისა 10—11 საათ.

კონსილიუმი არის ხოლმე სამშაბათობითა და პარასკევობით 12—1 საათ.

უვავილის აცრა ოთხშაბათობითა და შაბათობით 9—1 საათ.

ავლაბრის განყოფილება
(კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა)

მ. ა. ქალანთარი 11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა 11—12 (სამშაბათობითა და პარასკევობით)

ხარფუხის განყოფილება
(აბანოების მოედანი, სახ. ენფიანჯიანცისა)

გ. ბ. ტერ-ასატუროვი—11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—12—1 საათ. სამშაბათობითა და პარასკევობით.

შენიშვნა. სამკურნალო რჩევა-დარიგება და წამლები მიეცემათ უსასყიდლოდ სამკურნალოს ხარჯით მარტო შეუძლებლებსა.

გამგე ქალაქის სამკურნალოსი გ. სტეფანოვი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—164)

ბალახეულის კარამელი
ხველების წამალი
„ბეცცი ბოსს“
ბ. სემადენისა, კიევში
უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.
ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.
M. (20—16)



ამხანაგობა „ჯანმრთელობისა“
სუნელოვანი
ხიმიკური-წმინდა
ბრინჯის ფქვილი
(პუდრა).
ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.
ნარდად შეიძლება ყიდვა:
ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.
ს.-პეტერბურგი. ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.
მოსკოვი, ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.
ვარშავა, „ნოვი სვეტში“, 37.




ტფილისში ა. არისტაკოვის საათფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცხელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |